

მაჟორიტარი დეპუტატი ნინო წილოსანი ამომრჩევლებთან ანბარიშით წარსდება



ალიონი. 23 ანვარს, ქალაქ ლანჩხუთში, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის საკუთო დარბაზში ლანჩხუთელ და ჩონატაურელ ამომრჩევლებთან პარლამენტში ერთი წლის საქმიანობის შესახებ ანგარიშით წარსდება ლანჩხუთისა და ჩონატაურის მაჟორიტარი დეპუტატი, საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ მდივანი ნინო წილოსანი.

ბოლო საპარლამენტო არჩევნებისას ლანჩხუთის №60 საარჩევნო ოლქში, ჩონატაურის მუნიციპალიტეტის გარდა შედოდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 6 დაბა და სოფელი რომლის მოსახლეობა 10 000 აჭარბებს და ამდენად საინტერესო არის მაჟორიტარი დეპუტატის ხედვები აღნიშნული დასახლებების განვითარებასთან დაკავშირებით.

გაზეთი „ალიონი“ შეხვედრის წინ ესაუბრა დაბა ნასაკორალის, სოფლების: ძიმითი, ნაგომარი, ჯუმათი, სილაური, ბაილეთი მაჟორიტარ დეპუტატებს, მუნიციპალიტეტის ტერიტორიალური ორგანოს წარმომადგენლების მოადგილეებს. სამწუხაროდ, ისინი შეხვედრის შესახებ ინფორმირებული არ იყვნენ (განცხადება სოციალური ქსელით გავრცელდა) და შეხვედრას დასახლებული დასახლებებიდან მხოლოდ ძიმითის ტერიტორიალური ორგანოს რწმუნებულის მოადგილე გელა სალუქვაძე ესწრებოდა.

თავად ანგარიშის პრეზენტაცია საინტერესო იყო, რომელიც ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მხარდაჭერით გაიმართა. ანგარიშს ძირითადად 2 მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეები და აიპების თანამშრომლები ესწრებოდნენ.

ქალბატონი ნინო პარლამენტის ეკონომიკისა და ეკონომიკის პოლიტიკის, ევროპასთან ინტეგრაციის, გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრია;

არის საქართველოს პარლამენტის ესტონეთის რესპუბლიკის პარლამენტთან მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელი.

თავდაპირველად მან თავის საპარლამენტო საქმიანობაზე და საკანონმდებლო პროცესებში მონაწილეობაზე ისაუბრა. როგორც მან განაცხადა, მისთვის პრიორიტეტია ახალგაზდობის ჯანსაღ მომავალზე ზრუნვა და გენდერული საკითხები; აქტიურად იყო ჩართული იყო ჩართული თამბაქოს კონტროლისა და ნარკოპოლიტიკის რეგულირების შესახებ კანონპროექტის მომზადება-განხილვაში; „ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ – საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის საკითხებზეც მუშაობდა; ასევე, საპენსიო რეფორმის, კაპიტალის რეფორმის და საჯარო და კერძო სექტორის თანამშრომლობის კანონპროექტის შემუშავებზე. სულ მონაწილეობდა 272 კანონპროექტის განხილვაში.

ცალკე ისაუბრა სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად ფაროსანასთან ბრძოლის სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე. ქალბატონი ნინო წილოსანის ინფორმაციით, ერთი წლის განმავლობაში ლანჩხუთისა და ჩონატაურის მუნიციპალიტეტებიდან მასთან კომუნიკაცია 25-000 ამომრჩეველმა დაამყარა: კონსულტაცია გაეწია 1500-ზე მეტ მოქალაქეს; სხვადასხვა სახის დახმარება მიიღო 500-ზე მეტმა ადამიანმა; ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის საკითხებზე, ბიუროს შუამდგომლობით და ლანჩხუთისა და ჩონატაურის მუნიციპალიტეტის დაფინანსებით 70 000 ლარზე მეტი დაიხარჯა; სხვადასხვა უფლებამოსილ ორგანოებთან უშუალოდ 200-ზე მეტ მოქალაქეს, აქედან დაკმაყოფილდა 50; დეპუტატის შუამდგომლობით, განმეორებით შემოწმების საფუძველზე 10-ზე მეტ მოქალაქეს ალუგა სოციალურად დაუცველის სტატუსი; დეპუტატის უშუალო ძალისხმევით, უფასო სამედიცინო დახმარებით ისარგ-

ებლა 700-ზე მეტმა ადამიანმა, საჩხერის სამედიცინო კლინიკის ექიმებმა ლანჩხუთის, ჩონატაურისა და ოზურგეთის სოფლებში მოსახლეობას ჩაუტარეს სამედიცინო კვლევები; 5 მილიონი ლარით გაიზარდა შშმ პირების სოციალური რეაბილიტაციის პროგრამების დაფინანსება.

მაჟორიტარმა დეპუტატმა ისაუბრა ლანჩხუთისა და ჩონატაურის მუნიციპალიტეტებში განხორციელებულ პროექტებზე. დეპუტატმა ლანჩხუთსა და ჩონატაურში განსახორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზეც ისაუბრა. მიმდინარე და სამომავლო პროექტებიდან მნიშვნელოვანია თვითმმართველობის პროცესში ინერგება თანამედროვე სტანდარტები – მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები პროგრამული ბიუჯეტის დანერგვა ბიუჯეტის სწორი დაგეგმარებისთვის.

ნინო წილოსანს არაერთი შეკითხვა დაუსვეს, რომლებსაც მან ამომწურავი პასუხები გასცა.

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გა ზ ე თ ი .

ყოველკვირეული გამოსვლა. № 4 (10249) 29 იანვარი, 2018 წ. შპსი 60 თეთრი.

გაზეთი გამოსვლის 1931 წლის 5 იანვარიდან

„ენიშვნელოვანია აზიური ფაროსანას წინააღმდეგ კოვალექსური მიდგომა“



გაზეთ „ალიონის“ 21 იანვრის ნომერში დაიბეჭდა სტატია „რას გვიქადის წელს აზიური ფაროსანა“, სადაც ვწერდით ჩვენი მკითხველების კრიტიკულ მოსაზრებებს აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლაში. დროის სიმციროს გამო, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტომ ვერ მოახერხა რედაქციის კითხვებზე პასუხის გაცემა. ამჟამად სურსათის ეროვნული სააგენტოს პრესსამსახურის უფროსის თეა შველიძის დახმარებით გაზეთ „ალიონის“ კითხვებს პასუხობს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მცენარეთა დაცვის დეპარტამენტის უფროსი ნიკოლოზ მესხი:

– სოფლის მეურნეობის სამინ-



ახალგაზრდა ძალი ძმრის შესაფყალეზად დახმარებას ითხოვს, მაგრამ რამდენად იმსახურებს ეს უპანასკნელი უფყალეზას?!

თეზურ მარშანიშვილი

ძალაძე ოზურგეთში მცხოვრები, ერთ-ერთი უმცირესი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი ახალგაზრდა ძალი, ორი მძირეფლოვანი შვილის დედა, რომლის ვინაობის დასახელებებისგან უფენაშულად თავს ვიკავებთ და წერილში მოვისხანივთ ინიციალებით ბ. ნ. ოჯახური ძალადობისთვის მსჯავრდებული ძმრის, დ. ჯ-ს უფყალეზას ითხოვს, მაგრამ, წერილზე მოვარობისას მოვრეზებული სხვა ინფორმაციების უფენაშულად დახმარებას



დაწინარა, ერთი-ორჯერ მსუბუქად ტ---ზე შემოსცხო. მეუღლეზე გაბრაზებულმა, იმის გამო, რომ ბავშვის ხელი შემოარტყა, იქვე, სასტუმრო „გურასთან“ პოლიციის მანქანა შევნიშნე, მეგობრებმა მომხმარის შესახებ პოლიციელებს ვუთხარი და ვთხოვე, ჩემი ქმარი შევინებინათ, მსგავსი რომ აღარ განმეორებულიყო. მათ კი დ. ჯ. პირდაპირ „პიკაში“ ჩასვეს და

პოლიციაში წაიყვანეს. აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და მალე სასჯელიც შეეფარდა. შესაძლოა, არც ჩავსვით, ადრე რომ პირობითი მსჯავრე არ ჰქონოდა ჩემზე ძალადობისთვის. უმუშევარს, ორ მკირეწლოვან შვილთან ერთად, არანაირი ფინანსური შემოსავალი არ გამაჩნია. დავაღიანების გამო, ამ სცივეში ბუნებრივი აირი გამოვვირეთეს. უკიპირდაპირ „პიკაში“ ჩასვეს და

სხვა რომ ვერაფერი მოვიფიქრე, ადვოკატს მოვამზადებინე თხოვნა მეუღლის შეწყალეზაზე, რომელსაც ჯერჯერობით არანაირი გამოხმავრება არ მოჰყოლია.“

თითქოს არ გვიქონდა საფუძველი ახალგაზრდა ძალის ამ ინფორმაციის არ ვნდობდით, მაგრამ მაინც გადავამოწმეთ და ამ მიზნით, პირველ რიგში, დ. ჯ-ს ადვოკატს დ. მ-ს შევხვედით,



ხსოვნა

არქიტექტორი საყვარელ სალუქვაძე

არსებობენ ადამიანები, რომლებიც თავიანთი ცხოვრების წესით; ადამიანებთან გამორჩეული ურთიერთობებით; საქმისადმი დიდი პასუხისმგებლობით საზოგადოების დიდ ყურადღებასა და პატივისცემას სიცოცხლეშივე იმსახურებენ. სწორედ ასეთ რჩეულთა რიგს განეკუთვნება საყვარელ გიორგის ძე სალუქვაძე.



პროფესორი, რომელმაც სახელოვნად განვლო შემოქმედებითი თუ ცხოვრებისეული გზა და ჰუმანიტარულ ერთგულად ემსახურა თავის ქვეყანას, თავის პროფესიას - არქიტექტურას. პროფესორი, რომელმაც ბუნებრივად იყო შერწყმული მისი თაობის საუკეთესო თვისებები თაობისა, რომელმაც თავის დროზე ძლიერი იმპულსი მისცა პროფესიულ, საზოგადოებრივ ცხოვრებას და სასაზღვროდ ინტერესთა მრავალმხრივობით. ამიტომაც იყო მასთან საუბარი ყოველთვის საინტერესო და სასარგებლო. რამეთუ ის არ ისახლვრებოდა მხოლოდ პროფესიული ჩარჩოებით, არამედ მოიცავდა ხელოვნების შეცნობისა და შექმნის ფართო არეალს.

საყვარელ სალუქვაძე დაიბადა 1944 წლის 30 ივლისს ქოზურგეთში. 1968 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი - არქიტექტურის სპეციალობით. 1975 წელს - მოსკოვის საერთაშორისო კლასიკური ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურა. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იგი მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე, მაგრამ არქიტექტურასთან კავშირი არასოდეს გაუწყვეტია.

იგი იყო ოზურგეთის მთავარი არქიტექტორი; საქალაქო საბჭოს ადმინისტრაციის თავმჯდომარე; სამშენებლო ტრესტ „ჯოლხეთი“ - ს ოზურგეთის სამშენებლო სამმართველოს უფროსი; ოზურგეთის გამგებელი; ხელმძღვანელობდა საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს გურიის მხარის ურბანიზაციისა და მშენებლობის დეპარტამენტს.

მისი ძირითადი ნამუშევრებია: სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს 1300 - ადგილიანი ტურისტული კომპლექსი. ქ. სევასტოპოლში. (1968 წ.); ეთნოგრაფიული მუზეუმი ოზურგეთის რაიონის სოფელ ბახეში (1981 წ.); ადმინისტრაციული და სამეცნიერო დაწესებულებები

ოზურგეთის რაიონის სოფელში (1988-1989 წწ.); მარიამ ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია ქოზურგეთში (თ. ლომჯარასა და დ. სვანიძესთან ერთად); ქვეთიშეთაიანი მუზეუმი სოფელ ლიხაურში (2015 წ.); მრავალი საზოგადოებრივი და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების პროექტები, რომელთაგან თითქმის ყველა განხორციელებულია და სხვა.

ს. სალუქვაძე იყო საქართველოს არქიტექტორთა კავშირის წევრი; საკავშირო და საერთაშორისო კონსტრუქციის ლაურეატი რესპუბლიკური და საერთაშორისო კონფერენციების მონაწილე; მრავალი სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი; დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით და მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული არქიტექტორის საპატიო წოდება (2016 წ.). მისი ბიოგრაფია შესულია არქიტექტურისა და მშენებლობის ენციკლოპედიაში (2017 წ.).

უდიდესი დანაკლისა საყვალას ამ ქვეყნიდან წასვლა მისი კოლეგების, მეგობრების, თანამშრომლების, ახლობლებისა და განსაკუთრებით ოჯახისათვის. დასაძინა, რომ აქტიური შემოქმედებითი მოღვაწეობის პერიოდში შეწყდა ქართული არქიტექტურის, ღირსეული მამულიშვილის, დიდებული ოჯახის შთამომავლის საყვარელ გიორგის ძე სალუქვაძის მავისცემა.

მსუბუქი იყოს მისთვის მშობლიური მიწა. უფაღს ეპარებოდეს.

მეგობრები

კაცი, რომელიც მხოლოდ საკუთარ თავს ჰგავდა

საყვარელ სალუქვაძე

სიტყვა „დანაკლისი“ ვერ დაიტევს იმ მწუხარებას, რომელიც ოზურგეთის საზოგადოებამ ბატონი საყვარელ სალუქვაძის გარდაცვალებით განიცადა. იყო ყველა ადამიანური ღირსებით დახუნძლული, მართლაც შეუდარებელი პიროვნება, კაცი, რომელიც ორიგინალობით, ინტელექტით, კეთილშობილებით, თავმდაბლობით, ღვაწლით მხოლოდ საკუთარ თავს ჰგავდა.

უკსამძიმრებთ ოჯახს, ნათესავებს, მეგობრებს, თანამშრომლებს, მეზობლებს, ოზურგეთს, გურიას...
გაზეთი „ალიონის“ რედაქცია.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია თანაუგრძნობს №1 საჯარო სკოლის პედაგოგს ნათია ნიკოლაიშვილს უსაყვარლესი მეუღლის, კეთილშობილი პიროვნების საყვარელ სალუქვაძის გარდაცვალების გამო.

განცხადებები
იყიდება
შეუბნებელი სახლი
ტელ: 551 57 60 60

მისამართი მიმტანი და მზარეული
მობ. (514) 03 80 03

სკანვორდი

Scrabble board with a portrait of a woman on the left and a grid of letters with arrows indicating possible words. The grid contains various words like 'ქალაქი', 'ვაკეშივილი', 'ქიაჩელის სოფელი', etc.

№ 3-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე - ნოდარ დუმბაძე; მტაცებელი ფრინველი ძეგლი; დაბა საქართველოში - შაირი; თექვსმეტმარცვლოვანი ლექსი - შაირი; გაგვინიანი მილიარდერი - ოლიგარქი; მარკების შემგროვებელი - ფილატელისტი; დრამატურგი ... კაკაბაძე - პოლიკარაძე; მრავალხმიანი სიმღერა - პოლიფონია; დამდგარი დიდი წყალი - ტბა; ქალაქი რაჭაში - ონი; ზუთკაპიკიანი - შაური; ქიმიური ელემენტი - ბორი; რუსეთის პარლამენტი - დუმა; საღვინე - მარანი; გამხმარი თევზი - ტარანი; პორტი - ნავსადგური; ბრაზილიანი მწვანე - ნიასური; ბოსტნეული მცენარე - ქონდარი; მუსიკალური ინსტრუმენტი - ქნარი; მანებელი მწერი - კალია; ბატის წიწილი - ჭუკი; მსოფლიოს ექსპედიციის ჭადრაკში - ტალი; ანბანის მე-9 ასო - ი; უსაქმური, არაფრისმკეთებელი - უმაქნისი; არაკი - იგავი; დედამამიშვილი - ძმა; ღვინის ჭურჭელი - ტიკტორა; გარეული ცხოველი - პუმა; ზღვის პეიზაჟი - მარინა; ებრაელი - ურია; გრაფიკი - სია; მეხვეული - სოსისი; სამაგიდო თამაში - დომინო; ქართული ცეკვა - სამაია; გრძელის ანტიპოდი - მოკლე; სასიძინე - ნალია.

